პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 11 (3495) 17 1968 წ. იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



ერთ კვირაზე მეტია, რაც ინდოეთიდან სასიხარულო ცნობები მოდის საქართველოს ჩოგბურთელთა წარმატებების თაობაზე. ჯერ იყო და ჩვენებმა საერთაშორისო ტურნირში იმარჯვეს: ა. მეტრეველმა ერთეულთა თანრიგში მოიპოვა უძლიერესის სახელი, შემდეგ კი მან ა. ივანოვასთან ერთად შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში დაიკავა I ადგილი, ხოლო თ. კაკულიასთან ერთად ვაჟთა წყვილების თანრიგში II საპრიზო ადგილზე გავიდა.

ამას მოჰყვა გამარჯვებები მაისურის შტატის ქალაქ ბანგალურში გამართულ აზიის ჩოგბურთელთა ღია პირველობაში. თბილისელმა სპორტსმენებმა ჩემპიონთა ტიტულები მოიპოვეს: ა. მეტრეველმა — ვაჟთა ერთეულებში, ა. ივანოვამ — ქალთა ერთეულებში, ხოლო ა. ივანოვამ და ნ. თუხარელმა — ქალთა წყვილებში.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ წლევანდელ საერთაშორისო ასპარეზობათა პირველ ოქროს მედალოსნებს საქართველოდან — ა. მეტრეველსა და ა. ივანოვას.

### უკანასკნელ საათს

◆ დელი, 16 იანვარი. ალა ივანოვა და ალექსანდრე მეტრეველი აზიის ჩემპიონები გახდნენ შერეულ წყვილთა თანრიგშიც. ფინალში თბილისელებმა დაამარცხეს მასპინძელთა დუეტი — ვინაი დკავანი და რუბი ნაირი.



## გაფრინდაშვილმა და გელერმა დაიპყრეს...

სტოკჰოლმი, 16 იანვარი. „მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ეფიმ გელერმა დაიპყრეს შვეციის ჭადრაკის მოყვარულთა გულები“, — წერს გაზეთი „აფტონბლადეტი“.

გეტებორგის ტურნირის გარდა გელერმა ერთდროული თამაშის სეანსებში 161 პარტია მოიგო 195-დან (21 შეხვედრა სტუმარმა ყაიმით დაამთავრა, 13 კი წააგო). გაფრინდაშვილმა სეანსებში 108 პარტია მოიგო, 38 ყაიმით დასრულდა და 13 წააგო.

შვეციაში სამკვირიანი ტურნეს შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეები სამშობლოში გაემგზავრნენ.

## მიხეილ გავაც... ხუთიდან 5!

### ინფორმაცია

● ალმა-ათა, 16 იანვარი. წუხელ აქ გამოვლინდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ციგურებით სწრაფრბენაში ქალთა შორის. ეს წოდება მოიხვეჭა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ტიტოვამ — 194,000 ქულა (პირადი რეკორდი). გუშინ ამ 22 წლის ნიჭიერმა მოციგურავემ ოქროს მედალი მოიგო კილომეტრიან დისტანციაზე — 1.34,1 (საციგურაოს რეკორდი) და პირადი მიღწევით გაირბინა 3000 მ — 5.19,5. მრავალჭიდში II ადგილზეა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რიგელი ლ. კაუნისტე — 195,100 (პირადი რეკორდი), ხოლო III — ჩელიაბინსკელი ტ. სიდოროვა — 196,483 (პირადი რეკორდი). პრიზიორთა ჯგუფის მიღმა დარჩნენ სახელგანთქმული მოციგურავეები ვ. სტენინა (IV ადგილი) და ლ. სკობლიკოვა (V). ცალკეულ დისტანციებზე „ოქრო“ მოიხვეჭეს: 500 მ — სიდოროვამ — 45,0; 1500 მ — კაუნისტემ — 2.24,8 (საუკეთესო დროა წლეულს მსოფლიოში); 3000 მ — სკობლიკოვამ — 5.14,2 (საციგურაოს რეკორდი).

● მოსკოვი, 16 იანვარი. ზამთრის უნივერსიადაში საასპარეზოდ გუშინ ინსბრუკს გაფრინდა საბჭოთა კავშირის სტუდენტ სპორტსმენთა ნაკრები, რომელშიც არიან მოციგურავეები ა. ჩეკულაევი (კიროვი) და ვ. ბაჟანოვი (ჩელიაბინსკი), ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე“ მ. გავა, სვერდლოვსკელი მოთხილამურე ჟ. ელისტრატოვა და სხვ.

● ბევერვეიკი, 16 იანვარი. ხუთი ტური — ხუთი მოგება! ასე ბრწყინვალეა ლენინგრადელი ვ. კორჩნოის სტარტი აქ მიმდინარე ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალში. კორჩნოიმ ჯერ IV ტურში ბ. ივკოვთან (იუგოსლავია) გადადებული პარტია მოიგო, ხოლო V ტურში დაამარცხა ჰოლანდიელი ჰ. რეე. ჯერჯერობით „თავის სტილში“ არ თამაშობს რიგელი დიდოსტატი მ. ტალი. ამჯერად იგი ყაიმზე შეუთანხმდა ა. მატანოვიჩს (იუგოსლავია). ტალსა და ლ. პორტიშს (უნგრეთი) 3-3 ქულა აქვთ. მათ ნახევარი ქულით უსწრებს რუმინელი ფ. გეორგიუ.

● კატოვიცე, 16 იანვარი. პოლონეთში პირველი მატჩი გამართა სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა. მან აქ მოუგო თამაში სილეზიის ნაკრებს — 6 : 2.

## გუშინ...

თბილისში გაიმართა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის XII პარტია. საინტერესო, მწვავე ბრძოლის შემდეგ 68-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6,5 : 5,5 კუპერმანის სასარგებლოდ. XIII პარტია გაიმართება 18 იანვარს.

## სსრ კავშირი — უნგრეთი და სხვანი...

პარიზი, 16 იანვარი. დღეს აქ გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტების კენჭისყრა. საბჭოთა ნაკრებს ძალიან ძლიერი მეტოქე ერგო — უნგრეთის ეროვნული გუნდი (1954 წლიდან მოყოლებული, სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები კოლექტივები რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: ოთხჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ერთხელ — უნგრელებმა, სამი მატჩი კი ფრედ დამთავრდა. უკანასკნელად ეს გუნდები მსოფლიოს VIII ჩემპიონატის მეოთხედფინალურ თამაშში „შეებინდნენ“ ერთურთს. ეს შეხვედრა საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ დამთავრდა — 2 : 1).

სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: შოტლანდია — ინგლისის შესარჩევ მატჩში გამარჯვებული (ეს თამაში 24 თებერვალს გაიმართება გლაზგოში) — ესპანეთი, საფრანგეთი — იუგოსლავია, ბულგარეთი — იტალია.

მატჩები უნდა ჩატარდეს 1 მარტიდან 15 მაისამდე.

წარმატების შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრები ნახევარფინალში შეხვდება ბულგარეთ — იტალიის წყვილის მატჩებში გამარჯვებულს.

თუ იტალიელები ფინალში აღმოჩნდებიან, ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი ამ ქვეყანაში გაიმართება. თუ არა და, ფინალური ეტაპის მოწყობა ნავარაუდევია ინგლისში, შოტლანდიაში, ან ესპანეთში იმის მიხედვით, თუ ვინ გავა ფინალში.

## პროგნოზების მიუხედავად...

ვოროხტის მთელმა მოსახლეობამ, ათასმა სტუმარმა [illegible] კოვსკიდან და ლვოვიდან [illegible] სულ კვირას [illegible] რიან ტრამპლინთან, სადაც ორჭიდელთა დავა დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის.

შეჯიბრების დაწყების ნიშანი გუცულელთა საყვირებით სათბუნებლებში გახვეულმა ჭალარაულვაშებიანმა მოხუცებმა მისცეს.

სპორტსმენებმა შეკრებილი გულშემატკივრების მოლოდინი არ გააწბილეს: ლენინგრადელი ე. ლოგინოვი ბრწყინვალედ გადახტა 87 მეტრზე და გააუმჯობესა ტრამპლინის რეკორდი, რომელიც „მფრინავ ტორპედოს“ კ. წაქაძეს ეკუთვნოდა.

მაგრამ საბოლოოდ ლოგინოვმა 232,5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ III ადგილზე გავიდა. მან წინ გაუშვა 19 წლის თანაქალაქელი რ. მაკარა, რომელიც 82,5 და 86 მეტრზე გადახტა (249,35 ქულა). ქვეყნის ჩემპიონმა ვ. დრიაგინმაც (კიროვი) — 232,5 ქულა დააგროვა.

გუშინ ორჭიდელები 16-კილომეტრიან სათხილამურო რბოლის სტარტზე გამოვიდნენ. და აი, შეჯამდა შეჯიბრების შედეგები. ყველა პროგნოზის მიუხედავად, ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა მაკარამ, რომელმაც V ადგილი დაიკავა და საერთო ჯამში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 473,1 ქულა მოაგროვა.

ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ლენინგრადელმა მ. არტიუხოვმა (468,37), ხოლო ბრინჯაოსი — დრიაგინმა — 462,97.

მრბოლელთა ასპარეზობაში ახალგაზრდობამ მკვეთრად გამოხატა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება — არ დათმოს მოპოვებული პოზიციები. გორკელმა სტუდენტმა ა. სმირნოვამ, რომელმაც ეს-ესაა მოიგო ოქროს მედალი 5-კილომეტრიან დისტანციაზე, ახლა 10 კილომეტრზე რბოლაშიც აჯობა ყველას (38.56), ხოლო 22 წლის ფ. სიმაშოვმა (მოსკოვი) გაიმარჯვა 15-კილომეტრზე რბენაში — 49.10. ესაა, რომ მათ ამჯერად ოქროს საჩუქრები არ მიიღეს, ვინაიდან ამ მანძილებზე საკავშირო ჩემპიონთა წოდებანი მარტში, ესტონეთის დაბა კიარიკუში გათამაშდება.

ახლა საბჭოთა მოთხილამურეები გრენობლში საასპარეზოდ გაემგზავრებიან. მათთან გამოთხოვება 18 იანვარს მოხდება მოსკოვში, როცა ისინი განათებულ ტრასაზე გამართავენ რბოლას.



ეს-ესაა ა. ანდრეიკომ (მარცხნივ) სვლა გააკეთა. მსოფლიო ჩემპიონი ი. კუპერმანი ჩაფიქრდა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# მეხიკო ე…

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორობა საპატიო მოვალეობაა და ქვეყანა, რომელსაც ამ მოვალეობას დააკისრებენ, ცდილობს ღირსეულად გაამართლოს ნდობა. მეხიკოს ოლიმპიადა ცხრა მთას იქით როდია. მაგრამ თვითონ მეხიკო ძალზე შორია, ოლიმპიადის ნახვა კი მარტო მექსიკის დედაქალაქის მკვიდრთ როდი სურთ.

იმისთვის, რომ ჩვენც ვნახოთ ოლიმპიადა ტელევიზიის საშუალებით, მეხიკოში უნდა გამოიყენონ გადაცემის უახლესი ტექნიკა. ასპარეზობა რომ ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ჩატარებულიყო, ტელეგადაცემის მოწყობა გაცილებით იოლი და იაფი იქნებოდა, მეხიკოს კი ბევრი დიდი მთა და ზღვა გვაშორებს. მექსიკის ტელევიზიას კერძო ფირმები განაგებენ, ისინი კი თავისებურ ბიზნესს აპირებენ ოლიმპიადის დღეებში. ამიტომ მეხიკოში უკვე გაცხოველებული მზადებაა გაჩაღებული. აიგო სტადიონი, მიმდინარეობს სხვა სპორტული ნაგებობების მშენებლო-

ბა. სპორტულ…
სი 1968 წლის…
ლოს იქნება…
თოვდება…
ლობის ხაზი,…
სიკის ტელევ…
რადიომართვ…
1968 წლის…
მამდე აიგება…
პლოატაციოდ…
6 ახალი (ამას…
თადარიგო) ს…
არხი. მეხიკო…
შორის არხებ…
შა იქნება. მ…
ნება ხატელ…
შირიც დე…
ჩრდილოეთი…
რეთით. მთავ…

# ვოსკრესენს… — გრენო…

ყინულოვანი მოედნის ოთხივე ბორტზე სწორედ ეს სიტყვები ეწერა და ისინი ყველაზე უფრო ზუსტად ასახავდნენ იმის არსს, რაც 3-7 იანვარს მოხდა მოსკოვის მახლობლად მდებარე ქალაქ ვოსკრესენსკის სპორტის სასახლეში.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფიგურისტებმა აქ ჩაატარეს 1968 წლის თავიანთი საკავშირო ჩემპიონატი. ისინი იბრძოდნენ არა მარტო უძლიერესის წოდებისათვის საბჭოთა ფიგურულ ციგურაობაში, არამედ უფლებისთვისაც დაეცვათ საბჭოთა სპორტის პრესტიჟი ევროპის ჩემპიონატზე ვესტეროსში (შვეცია), თეთრ ოლიმპიადაზე გრენობლში და მსოფლიო ჩემპიონატზე ჟენევაში.

რამდენ საბჭოთა ფიგურისტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ წლის საერთაშორისო ჩემპიონატებში? როგორია ვოსკრესენსკში ჩატარებული შეჯიბრების შედეგები? ვინაა ყველაზე უფრო რეალური კანდიდატები სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში?

ტასს-ის კორესპონდენტის მ. ზასლავსკის ამ კითხვებზე პასუხი გასცა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ს. კონონიხინმა.

— ჩვენი ფიგურისტების შარშანდელ წარმატებათა გათვალისწინებით მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა (ისუ) გაზარდა ადგილების რაოდენობა საბჭოთა გუნდისთვის ევროპის ჩემპიონატში. ვესტეროსში გამოსვლა შეუძლია 3 დუეტს წყვილთა სრიალში, 3 ვაჟს და 2 ქალს — ერთეულებში და 2 მოცეკვავე წყვილს.

ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირს შეუძლია გამოიყვანოს 3 წყვილი, 2 ვაჟი და 2 ქალი ერთეულთა სრიალში (შეჯიბრება ყინულზე ცეკვაში არაა შეტანილი ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში).

დაბოლოს, მსოფლიო პირველობაში სსრ კავშირს შეუძლია გამოიყვანოს 3 დუეტი წყვილთა სრიალში, თითო ვაჟი და ქალი ერთეულთა სრიალში და 2 წყვილი ცეკვებში.

— როცა ვაფასებთ ვოსკრესენსკის ჩემპიონატის შედეგებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ევროპის ჩემპიონატის დონეზე იქნა ჩატარებული. ეს განსაკუთრებით ეხება წყვილთა სრიალის წარმომადგენლებს. ჩემი აზრით, ვესტეროსში გამოსვლის ნება რომ ჰქონდეს არა სამ, არამედ ექვს საბჭოთა დუეტს, ყველას ექნებოდა საპრიზო ადგილების მოპოვების საკმაოდ მაღალი შანსი.

კვლავ უნაკლონი არიან გამარჯვებულნი — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი. დასამალი ხომ არაა, რომ მათი შარშანდელი გამოსვლები „უგემურ" გრძნობას ტოვებდა. იმაზეც კი იყო ლაპარაკი, რომ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთა კარიერა დასასრულს უახლოვდება. მაგრამ მათი გამოსვლა ვოსკრესენსკში უარყოფს პროგნოზებს.

ავიღოთ სავალდებულო პროგრამა. იგი ერთგვარად ზღუდავს სპორტსმენთა ინდივიდუალობას, ვინაიდან მოიცავს წინასწარ გაპირობებულ 7 ელემენტს. ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა შეძლეს ისეთი ორგანულად გამართლ…

# ი. კაბინი: „სასიამოვნოა ასეთი ძვრები..."

ი. კაბინი უკვე რამდენიმე წელია სათავეში უდგას საბჭოთა სამთო-მოთხილამურეთა ნაკრებ გუნდს. იგი არასოდეს ყოფილა ისეთი ოპტიმისტური, როგორც ახლანდელ ოლიმპიურ სეზონშია. თითქოს, ამ ოპტიმიზმისთვის მაინცდამაინც დიდი საფუძველი არ გაგვაჩნია: ერთობ ბევრი გაწბილება მოუტანიათ მის აღსაზრდელებს ადრე, ერთობ მოკრძალებული იყო მათი მიღწევები ყველა წინა ზამთრის ოლიმპიადაში და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც.

**მაშ რაშია სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ოპტიმიზმის სათავეები?** ამ შეკითხვით დაიწყეს ი. კაბინთან საუბარი ტასს-ის კორესპონდენტებმა.

— 5 განვლილი წლის მანძილზე ჩვენთვის, სამთომოთხილამურეთათვის გაცილებით უფრო ნაკლები იყო გაკეთებული, ვიდრე ამ ერთ წინასაოლიმპიადო წელიწადს. სასიამოვნოა ასეთი ძვრები პროგრესისკენ და ინტერესი იმისა, რომ ჩვენ გრენობლში რაც შეიძლება უკეთ გამოვიდეთ.

სსრ კავშირში აგებულია 3 ახალი საბაგირო გზა, მომზადდა რამდენიმე ახალი რთული ტრასა, გაცილებით გაუმჯობესდა სამუშაო პირობები. მაგრამ თვით მუშაობა? ვფიქრობ, სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ იგი უფრო ინტენსიური და გააზრებული გახდა. შესაძლებლობა მოგვეცა ოლიმპიური ნაკრების ყველა კანდიდატი ერთად შეგვეკრიბა და საქმეზე გაგვესინჯა ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და, რა თქმა უნდა, შინ გამართულ შეჯიბრებებში. გამარჯვებებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ გამოცდილება და დამაჯერებლობა, რასაც მე გუშინდელ დებიუტანტებში ვხედავ, უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია.

● **თქვენ ლაპარაკობთ დებიუტანტებზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გუნდის შემადგენლობამ დიდი ცვლილებები განიცადა?**

— დიახ. ინსბრუკის შემდეგ ნაკრები გაახალგაზრდავდა. ამის თაობაზე ბევრი საყვედურსაც გამოთქვამდა ჩვენი მისამართით. გამოვიდა ისე, რომ ცვლის მომენტისთვის ვეტერანები უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ მსოფლიო ჩემპიონებს კი არ ვცვლიდით, არამედ მოთხილამურეებს, რომლებიც სერიოზულ საერთაშორისო ტურნირებში ტრადიციულად იკავებდნენ მე-15—მე-20 ადგილებს. ახალგაზრდებს შეეძლოთ მათი გასწრება თავის დროზე რომ დაგვეყენებინა მწყობრში. გამოდის, რომ საჭირო იყო მათი სასწრაფოდ შეყვანა ნაკრებში და ჩვენც არ დავაყოვნეთ.

● **შემადგენლობა შეიცვალა, მაგრამ მზადების მეთოდები?**

— სპორტულ ცხოვრებაში ადგილზე არაფერი დგას. თავად განსაჯეთ: ღირდა კი შემადგენლობის ცვლა, თუ არ შეიცვლებოდა მზადების მეთოდები?

ახალი გრაფიკით მუშაობის დაწყების წინ ჩვენ მოვახდინეთ სპეციალიზაცია ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა შორის. გადავწყვიტეთ თვითეულ მათგანს ემუშავა სამთო-სათხილამურო დისციპლინის ერთ რომელიმე სახეობაში. მზადებას ვაწარმოებდით თვითეულის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა და ყოველმხრივი საქმიო ანალიზის გათვალისწინებით. ამან საშუალება მოგვცა გაგვეზარდა დატვირთვა, შეგვეცვალა მეცადინეობათა რიტმი.

ჩვენი მუშაობის დიდ მინუსს წარსულ წლებში წარმოადგენდა სამთომოთხილამურეთა პირადი შეჯიბრებების უქონლობა. ჩვენს ქვეყანაში მიღებულია გუნდური ჩემპიონატები, სადაც მოთხილამურე იმდენად საკუთარ შედეგებზე არაა პასუხისმგებელი, რამდენადაც ქულებზე და თავისი გუნდის წარმატებაზე. ბუნებრივია, ეს ამბავი გამორიცხავდა რისკს. სპორტსმენები ფრთხილობდნენ ტრასებზე, მთლიანად არ ავლენდნენ თავიანთი ოსტატობის მარაგს. უცხოეთში კი თვითეული მუშაობდა საკუთარი მაჩვენებლებისთვის და სულ სხვა სისწრაფით ასპარეზობდა. ახალ ლიანდაგებზე დადგომა რთული საქმე იყო.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. გრენობლისთვის მზადების პერიოდში საკავშირო კალენდარი შედგა ისე, რომ გუნდურ შეჯიბრებებთან ერთად მოწინავე სამთომოთხილამურეებს შესაძლებლობა მიეცათ სტარტი აეღოთ რამდენიმე პირად შეჯიბრებაში, ე. ი. შეჩვეოდნენ მაქსიმალურ სისწრაფეებს დაშვების ტრასებზე. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

● **მიაღწიეთ თუ არა შესამჩნევ ძვრებს?**

— როგორ გითხრათ! უშუალოდ ოლიმპიადისთვის მზადებაზე გადასვლის წინ რამდენიმე ერთობლივი წვრთნა და შეჯიბრება ჩავატარეთ ძლიერ ევროპელ ოსტატებთან იალბუზის ფერდობებზე. მეტოქეთა შორის იყო ავსტრიელი კარლ შრანციც. 43-წამიანი სლალომის ტრასაზე მან გამოცდილ ტ. მონასტირიოვს მოუგო მხოლოდ 0,2 წამი, ხოლო ჯერ სრულიად ახალგაზრდა ალმაათელ ვ. მარკინს — 0,8 წამი. საერთოდ, განვლილმა შეჯიბრებებმა დაგვარწმუნა, რომ ნაკრების ახალწვეულნი სლალომში ახლოს არიან მაღალ დონესთან. ავსტრიაში ჩატარებულ შეჯიბრებაში მოსკოველმა ვ. ბელიაკოვმა სტარტი აიღო 105-ე ნომრით, ე. ი. როცა ტრასა უკვე საკმარისად დაზიანებული იყო. მაგრამ მან მერვე შედეგი აჩვენა.

ამას გარდა, ნაკრების ახალგაზრდობა დაახლოებით თანაბარძალიანია და განსხვავება ტრასის დაძლევაში შეადგენს სულ 0,1-0,2 წამს. ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ვილაპარაკო 20 წლის კიეველ ა. ლებედევზე, რომელმაც სეზონის დასასრულს მონასტირიოვთან მხოლოდ 0,2 წამი წააგო. შეიძლება ვილაპარაკო გორკელ ა. ბელოკრინკინზე, ნიჟიერ ს. გრიშჩენკოზე. გამოცდილ ოსტატებთან ვ. მელნიკოვთან და ტ. მონასტირიოვთან ერთად, ჩემი აზრით, მათ რიგიანი გუნდი შექმნეს და მათთან მუშაობისას შეიძლება მომავლის იმედი ვიქონიოთ.

ახალგაზრდულია ჩვენი ქალთა გუნდიც. მოსამზადებელ პერიოდში კარგად გამოიჩინეს თავი ი. ტურუნდაევსკაიამ (კარაპუზოვამ), ა. ივანოვამ, გ. მალოზიომოვამ.

● **შეიძლება თუ არა თქვენი ჩამოთვლილი მოთხილამურეები ოლიმპიელებად ჩავთვალოთ?**

— ნუ იჩქარებთ. წინაა დიდმნიშვნელოვანი შესარჩევი შეჯიბრებები უცხოეთში, სადაც საბოლოოდ უნდა შეიკრას ჩვენი ნაკრები.

● **მაგრამ თქვენი ოპტიმიზმი ხომ ახალგაზრდობის წარმატებებს ემყარება?**

— მთლად ასე არაა. ოპტიმიზმს საფუძვლად უდევს განვლილი მუშაობა. ყოველ შემთხვევაში იმ ადგილიდან, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში არ გვაკმაყოფილებდა, წინ წავედით და შეიძლება გრენობლში კიდევ უკეთესადაც გამოვიჩინოთ თავი. განსაკუთრებით ქალთა სლალომში. მაგრამ ეს უკვე პროგნოზებია, მე კი მწვრთნელი ვარ და არა წინასწარმეტყველი.

X^ES JEUX OLYMPIQUES D'HIVER GRENOBLE 1968



სურათზე: შეღამებისას განათებული ბობსლეის ტრასა, რომელიც ალ'იუეზის ალპებში მდებარეობს ... ბიდის მედლებ.

# ...მზადება

...ომპლექ-
...ობის ბო-
...დ. ფარ-
...ოგაბმუ-
...ნება მექ-
...ს ახალი
...ელი.
...ემოდგო-
...ა საქს-
...ადაცემა
...ან, 8 სა-
...ევიზიო
...და აშშ-ს
...იწისქვე-
...ქვეშა იქ-
...ნო კავ-
...ლაქიდან
...და სამხ-
...უზნებზე,

სადაც სატელევიზიო და ფოტოტელეგრაფის ხაზები ერთმანეთს კვეთენ, გაიყვანენ ხუთ მმართველ სატელევიზიო არხს.

მეხიკოს ახლოს ერთმანეთს უნდა შეახვედრონ 10 სატელევიზიო და ორი ფოტოტელეგრაფის არხი. ოლიმპიადას ხომ ასობით კორესპონდენტი დაესწრება, რომლებმაც სამშობლოში მარტო კორესპონდენციები კი არა, ფოტოსურათებიც უნდა გაგზავნონ.

გათვალისწინებულია შემთხვევითობაც. მაგალითად, თუ ერთ მონაკვეთზე რაიმე შეფერხება მოხდა, გადაცემა ავტომატურად გადაირთვება შემცვლელ არხზე. ამას მხოლოდ 5 წამი დაჭირდება. ერთი სიტყვით, ყველა სამუშაო უმაღლეს ტექნიკურ დონეზე სრულდება და ტელემაყურებლები გულნაკლული არ დარჩებიან.

უცხოური პრესის ცნობით, გადაცემებისთვის ფართოდ გამოიყენებენ ნახევარგამტარების უახლეს ტექნიკას.

მ. პეტროვი,
ინჟინერი.

კიევი.



მექსიკის პეიზაჟი.

# ...სკი — ვესტმინსტერი ...ლი — ჟენევა



...ული ლოგიკით დაუკავშირებინათ ერთმანეთთან ეს ელემენტები, რომ ისინი თითქოს ერთიმეორისგან გამომდინარეობენ და ქმნიან აბსოლუტური მხატვრული მთლიანობის შთაბეჭდილებას.

ჩემპიონთა ნებისმიერი პროგრამა იწყება ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" ჰანგებით. ასეთ რისკზე წასვლა შეუძლიათ მხოლოდ დიდ მხატვრებს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათი შემოქმედებითი გაბედულება სავსებით გამართლებულია. მართალია, ჩვენი შესანიშნავი ფიგურისტები თავიანთი სტილის ერთგულნი დარჩნენ, მაგრამ მათი ბოლო პროგრამა ახალი ფერებით აწრწყინდა. იგი გხიბლავთ არა მარტო ღრმა ლირიკული განცდით, არამედ სიახლით, დინამიურობით. ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ.

● როგორ გამოიჩინეს თავი დანარჩენმა წყვილებმა?

— მოუთმენლად მოველოდით ტ. ჟუკისა და ა. გორელიკის მონაწილეობას, რომლებიც ყინულზე გამოვიდნენ დიდი ხნის შესვენების შემდეგ. სამწუხაროდ, ისინი ვიხილეთ მხოლოდ სავალდებულო პროგრამაში: გორელიკი მოულოდნელად ავად გახდა.

რისი თქმა შეგვიძლია ამჟამად? ეტყობა, ჟუკმა და გორელიკმა აღიდგინეს თავიანთი ოსტატობა: ისინი სრიალებენ თავისუფლად, დიდი დიაპაზონითა და სისწრაფით, მათი სტილი ძალიან გამომსახველია. შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატისთვის ისინი ვერ მოემზადონ, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ უცხოეთში კარგად ცნობილი ეს წყვილი ოლიმპიური თამაშებისთვის თავის საუკეთესო ფორმაში შევა.

ნათელი, საინტერესო და ექსპრესიით აღსავსე იყო თ. მოსკვინასა და ა. მიშინის გამოსვლა. მათ მოამზადეს ორიგინალური სავალდებულო პროგრამა, რისთვისაც გამოიყენეს ა. პეტროვის ცნობილი მინიატურა „მიშელი და მიშუტკა" და ფრანგი კომპოზიტორის ტირიეს მუსიკა კინოფილმიდან „ერთი, ორი, სამი". ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები საჩვენებელ პროგრამაში გამოირჩეოდნენ მაღალი ტექნიკით, დასრულებულობით, თვითეული ელემენტის გამოკვეთილი და უნაკლო შესრულებით, საოცარი სინქრონულობით.

მესამე პრიზიორები — ი. როდნინა და ა. ულანოვი, ცნობილი საბჭოთა მწვრთნელის ს. ჟუკის აღზრდილები, სრული ხმით ამეტყველდნენ მხოლოდ ამ სეზონში, მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენები უკვე საკმაოდ ძლიერი არიან, რათა საპრიზო ადგილისთვის იბრძოლონ ევროპის ყინულოვან სარბიელზე.

● რა შეგიძლიათ თქვათ ჩვენს საუკეთესო მოცეკვავეებზე?

— ორი წყვილი — ი. გრიშკოვა და ვ. რიჟკინი, ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი — ერთი თავით მაღლა დგანან დანარჩენებზე. ორივე დუეტმა მიაღწია მაღალ საერთაშორისო კლასს. განსხვავება შეფასებაში მხოლოდ მინიმუმს შეადგენს.

გრიშკოვა — რიჟკინის წყვილი სავალდებულო პროგრამაში მისდევს ყინულზე ცეკვის მამამთავართა — ინგლისელთა ტრადიციებს. მათი მანერა თავდაჭერილი, მკაცრი და, მე ვიტყოდი, კლასიკურია. პახომოვასა და გორშკოვს, ისინი ბალეტში რომ გამოდიოდნენ, შეიძლება სახასიათო მოცეკვავეები ვუწოდოთ. ორივე დიდი ტემპერამენტისა და ხალისით აღსავსე სპორტსმენია, მათ ძალუძთ სავალდებულო ცეკვებსაც კი განუმეორებელი ელფერი მისცენ.

ჩემი აზრით, ორივე ამ წყვილს შეუძლია წარმატების იმედი იქონიოს საერთაშორისო ჩემპიონატებში.

● დაგვრჩა ერთეულთა შეფასება. თქვენი აზრი?

— ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ს. ჩეტვერუხინმა. ყოველ ახალ სეზონს ახალი წარმატებები მოაქვს მისთვის. თუ ჩეტვერუხინი ადრე უფრო ძლიერი იყო სავალდებულო ვარჯიშებში, ახლა შესამჩნევად გაიზარდა ნებისმიერ პროგრამაშიც, მაგალითად, საუცხოოდ ასრულებს ურთულეს ხტომებს 3 ბრუნით. ჩეტვერუხინის შანსები მაღალი ადგილის მოსაპოვებლად ევროპის ჩემპიონატში საგრძნობლად გაიზარდა.

მეშკოვისთვის II ადგილი დიდი წარმატებაა. მთავარია ის, რომ რიგ წარუმატებლობათა შემდეგ მან კვლავ ირწმუნა თავისი ძალა, თუმცა ცუდი არ იქნება, თუ მეშკოვს ვუსურვებთ შესრულების სიმსუბუქეს, ძალდაუტანებლობას.

მესამე პრიზიორი — ვ. კურენბინი ნამდვილი მებრძოლია, მუდამ საბრძოლველად განწყობილი. მის „სკოლას" ახასიათებს სავალდებულო ფიგურების შესრულების კარგი გეომეტრია, საკმაოდ რთულია მისი ნებისმიერი პროგრამაც (ხტომები 3 და 2,5 ბრუნით). მაგრამ მასაც შეიძლება ვუსურვოთ მეტი ელეგანტურობა და სიფაქიზე.

დრამატულად დამთავრდა ორი მოსკოველი მოციგურავის — გ. გრჟიბოვსკაიასა და ე. შჩეგლოვას მეტოქეობა. შარშანდელი ჩემპიონი შჩეგლოვა უფრო გამოცდილია, ფიზიკური მონაცემებით და შესრულების მანერით მოგვაგონებთ განთქმულ ჰოლანდიელ სიოკე დიიქსტრას. „სკოლის" შემდეგ შჩეგლოვა პირველი იყო, მაგრამ ნებისმიერ პროგრამაში მას დიდი უპირატესობით მოუგო 16 წლის გრჟიბოვსკაიამ, რომელიც პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. ესაა მეტად მოქნილი და არტისტული სპორტსმენი და სასიხარულოა, რომ ნორჩმა ფიგურისტმა სტაბილურობას და სიმწიფეს მიაღწია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ნაკრები ადრინდელზე უფრო წარმატებით გამოვა გრენობლის ოლიმპიურ ყინულზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

* * *

სურათზე: სარბიელზე არიან ი. გრიშკოვა და ვ. რიჟკინი.



...გამაშვება X თეთრი ოლიმ-

# სპიდო



ტულა, 15 იანვარი. სამხტომში 15,92 მეტრი! დახურული შენობისთვის ეს კარგი შედეგი აჩვენა გუშინ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორმა, როსტოველმა ვ. კრავჩენკომ. იგი პროგრამის ამ სახეობაში უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ს „დინამოს" მძლეოსანთა ზამთრის შეჯიბრებაში, რომელიც 13-14 იანვარს ადგილობრივ მანეჟში გაიმართა.

გაგვახარეს ახალგაზრდებმა. 19 წლის ჯარისკაცმა ვ. კისელიოვმა (მოსკოვის ოლქი) 3-კილომეტრიანი დისტანცია 8 წუთსა და 30 წამში გაირბინა და 3,6 წამით გააუმჯობესა ორიოდე დღის წინ ლენინგრადში ვ. ილიუშენკოს მიერ დამყარებული ჭაბუკთა საკავშირო მიღწევა. შეჯიბრებაში ორჯერ გამოიჩინა თავი კრასნოდარის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, 18 წლის მ. ბარიბანმა: სიგრძეზე ხტომასა (726 სმ) და სამხტომში (15,20 მ.)

მაღალი შედეგით — 3 წუთსა და 57,2 წამში გაირბინა 1500 მეტრი ნ. ხარიჩკინმა (სტავროპოლი).

შეჯიბრებაში 1500 მძლეოსანი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში მოსკოვის ოლქის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

# ახალგაზრდობა

# ტელეტაიპის ლენტიდან

## კორჩნოი უკან არ იხევს

## მსოფლიო რეკორდის გამეორება!

## „კოლუმბის რაინდები"

## რენლუნდი მეფობს

✦ ბევერვეიკი, 15 იანვარი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის IV ტურში შეჯიბრების ლიდერმა — ლენინგრადელმა დიდოსტატმა კორჩნოიმ გადადო პარტია იუგოსლაველ დიდოსტატ ივკოვთან, ხოლო წინა დღით გამარჯვებამდე მიიყვანა პადევსკისთან (ბულგარეთი) გადადებული პარტია. სამაგიეროდ, IV ტურში პადევსკიმ გაუძლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალის (რიგა) მწვავე იერიშებს და მასთან ქულა გაიყო. ახლა კორჩნოის 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. გეორგიუმ (რუმინეთი) 3 ქულა მოაგროვა 4-დან. ტალსა და პორტიშს (უნგრეთი) 2,5-2,5 ქულა აქვთ.

✦ რომი, 15 იანვარი. მადონა დი კამპილიოს მაღალმთიან საციგურაოზე ბრწყინვალე შედეგს მიაღწია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ერჰარდ კელერმა. 500 მეტრზე სწრაფრბენაში მან მსოფლიოს წლევანდელ სეზონში მეორე შედეგი — 39.9 წამი აჩვენა. წლევანდელი ზამთრის საუკეთესო შედეგიც კელერს ეკუთვნის. ესაა 39,5 წამი — საბჭოთა მოციგურავე ე. გრიშინის მსოფლიო რეკორდის გამეორება.

✦ ბოსტონი, 15 იანვარი. ადგილობრივ დახურულ სტადიონზე მძლეოსანთა ტრადიციულ შეჯიბრებაში — „კოლუმბის რაინდები" ე. კარუზერსმა 213 სმ სიმაღლე დაძლია. ასეთივე შედეგი აქვს ს. ოლბრაიტს, მაგრამ ერთი „ზედმეტი ცდით". ჭოკით ხტომის ახალგაზრდა ოსტატმა ჯ. ბიზარომ კარგ შედეგს მიაღწია: 507 სმ დაძლია, თანაც დარბაზებისთვის უმაღლესი მსოფლიო მიღწევის მფლობელს ბ. სიგრენს აჯობა. სიგრენმა 493 სმ აჩვენა.

✦ ედსბიუნი, 15 იანვარი. შვეციის „თხილამურების მეფემ" ა. რენლუნდმა იოლად დაამარცხა ყველა მეტოქე უკანასკნელ შესამოწმებელ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში — 50-კილომეტრიანი დისტანცია 2 საათში, 49 წუთსა და 2 წამში გაირბინა. ამრიგად, იგი სათავეში ჩაუდგა შვეციის მოთხილამურეთა ნაკრებს X თეთრ ოლიმპიადაში (გუნდის შემადგენლობა შვეციის სათხილამურო ფედერაციამ უკვე გამოაქვეყნა).

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა 30-ე ჩემპიონატი.



ბაქო, 13 იანვარი. „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:2, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 3:1, ცსკა — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 0:3; 14 იანვარი. აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი — ცსკა 3:0, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:0, „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 0:3.

რიგა, 13 იანვარი. „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 3:1, „რადიოტექნიკი" (რიგა) — „კალევი" (ტალინი) 1:3, „ლოკომოტივი" (კიევი) — ასკ (როსტოვი) 3:2; 14 იანვარი. „დინამო" — „ლოკომოტივი" 2:3, „კალევი" — „ბურევესტნიკი" 3:0, „რადიოტექნიკი" — ასკ 3:0.



# კალათბურთელთა მიწიერი საქმენი

ჩვენი კომენტარი

ბოლო კვირის მანძილზე კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამ შესწორებათა მთავარი ავტორები ჩემპიონატის ადრინდელი ლიდერები — უკრაინელი სპორტსმენები („სტროიტელი" და ასკ) არიან, რომლებიც შარშანდელი წლის ბოლოს მიღებული ნოკაუტის შემდეგ ნელ-ნელა მოდიან გონს და ქულას ქულაზე აგროვებენ.

კიევის არმიელებს „მეორე სუნთქვა" საკუთარ ქალაქში გაეხსნათ. ახლა ძნელია მარჩიელობა, თუ რამ განაპირობა უკრაინელთა ბოლო წარმატებები: ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა (ნაცნობი მოედანი, მაყურებლების მხარდაჭერა და ა. შ.), თუ, უბრალოდ, უკეთესად თამაშმა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ასკ-მ ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. თანაც, ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკრაინელ არმიელთა გამარჯვება ოთხივე შემთხვევაში დამაჯერებელი იყო.

ლიდერთა სამეულშია კიევის მეორე გუნდი — „სტროიტელიც". ერთის მხრივ, ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან სსრ კავშირის ბოლო წლების უცვლელი ვიცე-ჩემპიონი საბჭოთა კალათბურთში თეორიული ლიდერების გუნდია. კიეველთა ერთ დროს ნოვატორულ სისტემას (ზონურ პრესინგს) სეზონის დასაწყისში ბზარი შეეპარა, რამაც სპეციალისტებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ოპტიმისტების აზრით, ეფექტურობა და ელასტიურობა სისტემას კი არ დაუკარგავს, მოთამაშეები ვერ იყენებდნენ მას ძველებური ოსტატობით. ოპტიმისტები ასე მსჯელობდნენ: სეზონის დასაწყისში „სტროიტელი" არ იყო მზად იმ ფიზიკური დატვირთვისთვის, რასაც ორმაგად მოითხოვს ზონური პრესინგი.

შესაძლოა ეს მოსაზრება სწორიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, პრესაში უკვე გამოითქვა აზრი, რომ „სტროიტელი" თანდათან „პოულობს" თავის ძველ თამაშს.

თბილისის დინამოელებმა ლენინგრადი 50-პროცენტიანი მოსწრებით დატოვეს: პირველი მატჩი წააგეს, მეორე — მოიგეს. ეს თითქოს ცუდი მაჩვენებელი როდია, მით უმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლენინგრადის „სპარტაკი" კაუნასის „ჟალგირისის" შემდეგ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინა მსოფლიო ჩემპიონს — სსრ კავშირის ნაკრებს. მაგრამ „დინამოს" პირველი მარცხი იმით იყო საწყენი, რომ გამარჯვებასთან იგი უფრო ახლოს იდგა, ვიდრე „სპარტაკი". და როცა ამ მატჩის შემდეგ ჩვენს ლენინგრადელ კორესპონდენტს ველაპარაკეთ, მან დარწმუნებით გვითხრა: მეორე მატჩში რევანშს წინ არაფერი დაუდგებაო. ეს რწმენა, რომელიც სავსებით გამართლდა, ძალთა თანაფარდობის ზუსტ ანალიზზე იყო დამყარებული.

საკავშირო ჩემპიონატს დღეისთვის ერთი ფაქტიური ლიდერი ჰყავს კიევის არმიელთა სახით და ორიც პოტენციური ლიდერი — კაუნასის „ჟალგირისი" და თბილისის „დინამო", რომლებმაც ყველაზე ცოტა ქულა დაკარგეს: შესაბამისად 2 და 3.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდმა — „ბურევესტნიკმა" ჯერჯერობით მხოლოდ 10 შეხვედრა ჩაატარა და 5 ქულა დააგროვა. დაკარგული ქულებით იგი IV-VI ადგილებს იყოფს კიევის „სტროიტელთან" და ცსკა-სთან. ასეთი მეზობლობა „ბურევესტნიკის" ახალგაზრდული კოლექტივისთვის უდავოდ საპატიოა. მაგრამ მას წინ აქვს მეტად პასუხსაგები გასვლითი მატჩები. შარშან 25 დეკემბრის შემდეგ ჩვენს „ბურევესტნიკს" კალენდარული შეხვედრა არ ჩაუტარებია და პირველი გამოსვლა წლეულს მხოლოდ 23 თებერვალს ექნება ლენინგრადში.

დღეს და ხვალ მოსკოვში გაიმართება ჩემპიონატის ცენტრალური მატჩები: ერთმანეთს ხვდებიან ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი". ამ მატჩების შედეგები, რა თქმა უნდა, გარკვეულ სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილის ზედა სართულში. აქვე შეგახსენებთ, რომ თბილისის დინამოელები 18-19 იანვარს ტარტუში ადგილობრივ „კალევს" ეთამაშებიან.

ნ. გუგუშვილი.

* * *

მოგვყავს 15 იანვრის კალენდარული შეხვედრების შედეგები: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 62:66, ასკ (კიევი) — ასკ (რიგა) 72:82.

გთავაზობთ, აგრეთვე, ადრე ჩატარებული მატჩების გამოუქვეყნებელ შედეგებს: ასკ (კიევი) — ვეფ (რიგა) 73:66, „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (რიგა) 59:54.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 იანვრისათვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 14 | 10 | 4 | 986—949 | 10 |
| „დინამო" (თბილისი) | 12 | 9 | 3 | 872—782 | 9 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 14 | 9 | 5 | 926—903 | 9 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 10 | 8 | 2 | 796—695 | 8 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 14 | 8 | 6 | 996—967 | 8 |
| ცსკა | 12 | 7 | 5 | 765—738 | 7 |
| ვეფ (რიგა) | 16 | 7 | 9 | 1143—1145 | 7 |
| „კალევი" (ტარტუ) | 12 | 6 | 6 | 750—764 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 10 | 5 | 5 | 630—622 | 5 |
| ასკ (რიგა) | 14 | 4 | 10 | 957—1008 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 2 | 12 | 1022—1162 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 10 | 1 | 9 | 659—767 | 1 |

## „ტორპედო" (მოსკოვი) — „კარდიფ-სიტი" (უელსი)

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში, როგორც ცნობილია, ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „ტორპედო" და უელსის „კარდიფ-სიტი".

28 თებერვალს მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან კარდიფში, ხოლო 19 მარტს — ტაშკენტში (ჩვენი გაზეთის წინა ნომერში თარიღები უსწოროდ იყო აღნიშნული). თუ საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩი ამ გუნდებს შორის, იგი შედგება 26 მარტს ნეიტრალურ მინდორზე.

მოსკოვის ტორპედოელები საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის მზადებას ამჟამად სოჭში გადიან. იქ ჩასვლამდე მათ ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს კალინინში, სადაც ადგილობრივ „ვოლგასთან" ფრედ ითამაშეს — 0:0.

სოჭიდან მოსკოვის „ტორპედო" საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრება ჯერ იტალიაში, ხოლო შემდეგ — საფრანგეთში.

## სსრ კავშირის თასზე

მოხდა კენჭისყრა სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფისთვის, სადაც საქართველოს გუნდები არიან გაერთიანებული.

ტყიბულის „მეშახტე" თავის მინდორზე მიიღებს კისლოვოდსკის „სპარტაკს" და ამ წყვილში გამარჯვებული შეხვდება მახარაძის „დინამოს". ბათუმის დინამოელები შინ ეთამაშებიან გორკის „ვოლგასა" და ასტრახანის „ვოლგარს" შორის გამარჯვებულს. თბილისის „ლოკომოტივი" ულიანოვსკში შეხვდება იქაურ „ვოლგას".

## ცვლილებანი „ა" კლასში

ოდესის „ჩერნომორეცის" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსად და უფროს მწვრთნელად დანიშნულია უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ს. შაპოშნიკოვი.



სურათზე: ძმები გაიოზ (მარცხნივ) და ალექსანდრე ბერუაშვილები თამაშის დროს.

ფოტო რ. ფერაძისა.

## ნორჩ მოშაშეთა პირველობა

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში „დინამოს" საჭადრაკო კლუბში ჩატარდა თბილისის ნორჩ მოშაშეთა პირველობა, რომელშიც 16 ჭაბუკი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ა. ბერუაშვილმა (31-ე საშუალო სკოლა) — 14,5 ქულა. II ადგილი დაიკავა 11 წლის ბ. შავერდიანმა (27-ე საშუალო სკოლა) — 12,5, ხოლო III — ჩემპიონის უმცროსმა ძმამ — 12 წლის გაიოზმა (11,5 ქულა).

ს. პახლაჯიანი,
პირველობის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

## ბოტვინიკის შვილიშვილები

კალუგა, 15 იანვარი. სსრ კავშირის მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობაში ჩემპიონის მედლები დაისაკუთრეს მოსკოველმა ნ. ტიტორენკომ და ლვოველმა ო. რომანიშინმა.

ნატაშა ტიტორენკო ერთადერთია, ვინც აბსოლუტურ შედეგს მიაღწია: 9 ქულას 9-დან! ჩემპიონმა გაგვახარა კომბინაციური, შემტევი სტილით, აგრეთვე, ცაიტნოტში თამაშის გართულების უნარითაც. ამით იგი მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს მოგვაგონებს. და არა მხოლოდ ამით. ისე, როგორც ნონა, ნატაშა წარმატებით მონაწილეობს ვაჟთა ტურნირებშიც — სწორედ ამგვარ შეჯიბრებაში შეასრულა მან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. (ნ. ბალაშვილმა 5,5 ქულით VI ადგილი დაიკავა. — რედ.)

ჭაბუკებში აბსოლუტური ლიდერი არ ყოფილა, ჩემპიონის ტიტული ოლეგ რომანიშინს უკიდურესობამდე დაძაბულ ბრძოლაში ხვდა: მხოლოდ კოეფიციენტთა ცხრილმა „მისცა" ლვოველ ყმაწვილს ძვირფასი მედალი. მან მოაგროვა 7 ქულა 9-დან. ამდენივე ქულა ჰქონდათ მის შეუპოვარ მეტოქეებს — 16 წლის სომეხ ოსტატ რ. ვაგანიანს და რსფსრ-ს წარმომადგენელ მ. უმანსკის.

(IV ადგილი დაიკავა ვ. მეჩიტოვმა (6,5), V — ს. ჩეჩელიანმა (6). — რედ.).

16 წელი ნიჭიერ ჭაბუკთა სიმწიფის ღროა. ჩვენი კორიფეები მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი სწორედ ამ ასაკში გახდნენ ოსტატები. თუ გავიხსენებთ ჭაბუკ ხარკოველს მ. შტეინბერგსა და მის თანატოლს, ტულელ ა. კარპოვს (პირველმა წარმატებით ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატში, მეორემ გრონინგენის ძლიერ ტურნირში გაიმარჯვა), შეიძლება ითქვას, რომ გვისად, ჭაბუკთა მსოფლიო პირველობისთვის, ჩვენ გვყავს ამოსარჩევი ყმაწვილები. (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ...და მაინც საინტერესოდ

თბილისში გაიმართა ქალაქის სამბისტთა პირად-გუნდური ჩემპიონატი. მიუხედავად იმისა, რომ ხალიჩაზე მოწინავე ათლეტები არ გამოსულან, შეხვედრები ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულად, მაღალ ტექნიკურ დონეზე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯ. ხომასურიძე, ბ. ქიქიაშვილი, ნ. ბეინიშვილი, ს. ბადალიანი (ყველა — „დინამო"), ვ. პავლიაშვილი (ასკ), ე. ნინიაშვილი, ვ. ქამუტაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი"), ა. შაშიაშვილი („განთიადი").

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა გუნდურ ჩათვლაში არავის დაუთმო „დინამომ". მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „განთიადისა" და „ლოკომოტივის" სამბისტები.

23-31 იანვარს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში ჩატარდება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების სისტემაში შემავალი ტექნიკუმების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურს-სემინარი.

## უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგი

ზესტაფონის კომპლექსური ბავშვთა სპორტული სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელსაც სკოლის დირექტორი ა. კვესიტაძე უდგას სათავეში. ეს კაცი მოწმეა იმისა, როგორ გაუჭირდა თავდაპირველად სკოლას, როცა საკუთარი საწვრთნელი ბაზაც არ გააჩნდა. მაგრამ წლები წლებს მისდევდა. შეიძინეს ინვენტარი, თავდადებული შრომის შედეგად სათანადო დონეზე დადგა სექციების საქმიანობაც. ბოლოს კეთილმოწყობილი დარბაზიც მიიღეს. სკოლას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა უწევს შეფობას. სწორედ ამ საწარმოს სტადიონზე ვარჯიშობენ ნორჩი ფეხბურთელები და მძლეოსნები.

აქ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღიზარდა. მათ ბევრჯერ დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკის ღირსება საკავშირო სარბიელზე. აი, ზოგიერთი ვეტერანი და დღევანდელი ოსტატი, რომლებმაც აქ აიდგეს ფეხი: ო. დადუნაშვილი, კ. ბაზაძე, გ. პეტრიაშვილი, ჯ. ზაქარიაძე, ლ. შეყრილაძე, ჯ. მაჭავარიანი, გ. ნიშნიანიძე, გ. გაგნიძე, შ. კაცაძე, გ. ბერიშვილი... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მათი აღმზრდელები არიან ს. საყვარელიძე, ძმები შოთა და შალვა გეწაძეები, პ. მალალურაძე, რ. გვალია, ბ. ბარამიძე, გ. ქლენტი, ს. ცხადაძე, ო. აბაშიძე, ზ. ზაქაიძე, კ. კოვზირიძე, ო. არაბიძე, გ. მერკვილიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე თ. ბერეკაშვილი.

ახლა სკოლის 20 სხვადასხვა ჯგუფში 305 ნორჩი ფიზკულტურელი სწავლობს. გატაცებით მეცადინეობენ კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და ფარიკაობის სექციებში. ამას წინათ სკოლამ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რაიონულ სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა. ნორჩმა სპორტსმენებმა 5 სახეობაში პირველობა მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს. სკოლის სპორტულ ნადავლს ექვსი ახალი თასი მიემატა. ისიც უნდა ითქვას, რომ შარშან აქ გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა.

მოსწავლეთა დაოსტატების მიზნით ხშირად ეწყობა ამხანაგური შეხვედრები თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, ხაშურის, სამტრედიისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსკოლების გუნდებთან. მნიშვნელოვანია სკოლის, კომკავშირის რაიკომისა და რაიონული სპორტკავშირის ერთობლივი ღონისძიებებიც.

ზესტაფონელ პედაგოგებსა და მათს დირექტორს კიდევ უფრო საინტერესო სამერმისო გეგმები აქვთ.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ზესტაფონი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.